დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის მონიტორინგი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნანა მონიავა
წევრი: ცირა ნიკოლაიშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404903734

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ.თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. კვარტალი III, N8ა.
ფაქტობრივი მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. კვარტალი III, N8ა.
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://igs.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	contact@igs.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2 207424

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 23 0000909817 20.07.2023
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	24, 25 ივლისი 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „გ.გ“ და ,,გ.დ“ კომპონენტებისა და „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესრულების შემოწმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები დოკუმენტები (კავშირი საფარის მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესული წერილი „არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის თაობაზე“, შეადგინა ვიზიტის დღის განრიგი, რომელიც წარმოუდგინა ცენტრს.

2023 წლის 24 და 25 ივლისს ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. კვარტალი III, N8ა-ში მდებარე შპს გურამ დოჩანაშვილი-ქართულ საერთაშორისო სკოლაში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა განახორციელეს ბრძანებით გათვალისწინებული ინდიკატორების შეფასება. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა მოთხოვნილი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და მშობლებთან (ექსპერტების მიერ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული და სხვა მსურველები). დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები.

ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები.

2023 წლის 25 ივლისს, ვიზიტის მეორე დღის ბოლოს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას წარუდგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებები. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
290	288

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

მოსწავლეთა რაოდენობა: ----------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*ექიმის ქაბინეტში მოეწყოს სველი წერტილი შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილ ვედებში.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 4.1.1.1.	*სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმის ვადების გათვალისწინებით შეიმუშაოს სასკოლო რეგულაცია -,,განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი", აღნიშნულ დოკუმენტაციაში გაიწეროს მექანიზმი დისციპლინური დევნისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების აღრიცხვის.*
ინდიკატორი N 4.1.1.3	*მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.*	*სკოლამ მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გააფორმოს დანართი 6-ით წარმოდგენილი ხელშეკრულება შესაბამისობის გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ვადებში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

VI. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.3.1.3.	*3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;*	*სასურველია სკოლამ შეიმუშაოს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმები.*
ინდიკატორი N3.4.1.3.	*3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;*	*სასურველია ფსიქოლოგის მიერ მეტი კომუნიკაცია მშობლებთან, როგორც ინდივიდუალურად ასევე კლასის საჭიროებაზე მთლიანად.*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 4.2.1.1	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;*	*სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი სკოლის მოსწავლისათვის.*
ინდიკატორი N 4.2.1.5		*სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი, რათა აღნიშნული იყოს მკაფიო და გამჭვირვალე სასკოლო საზოგადოებისათვის.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ინდიკატორი N 4.2.2.1	*სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;*	*სადამრიგებლო პროგრამებში ასახოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები.*
ინდიკატორი N 4.2.2.3	*სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.*	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით პერიოდულად შეაფასოს გაწეული მომსახურება.*
ინდიკატორი N 4.2.4.3	*შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.*	*განისაზღვროს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირი თითოეული მიკროავტორბუსისათვის.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტის მომზადებისას, ექსპერტების მიერ დაფიქსირებული იყო 7ხარვეზი(ინდიკატორი N3.4.1.1, N4.1.1.1, N4.1.1.2, N4.1.1.3, N4.1.2.1, N4.2.1.4.). სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია თანდართული დოკუმენტებით, რის შედეგადაც ინდიკატორი N4.1.1.2, N4.1.2.1, N4.2.1.4. სრულად შესაბამისობაშია. ხოლო დანარჩენი N3.4.1.1, N4.1.1.1, N4.1.1.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.
ინდიკატორი N3.4.1.1-ის შესაბამისობაში მოსაყვანად სამედიცინო ოთახში დაგეგმილია სველი წერტილის მოწყობა, ასევე მოხდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასადგენად მოკვლევა (წარმოდგენილია ხელშეკრულება) და სკოლა ელოდება დასკვნას.
ინდიკატორი N4.1.1.1-ის შესაბამისობაში მოსაყვანად გეგმავს ,,განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი" რეალისტურ ვადებში.
ინდიკატორი N4.1.1.3-ის შესაბამისობაში მოსაყვანად შეიმუშავა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება (წარმოდგენილია ხელშეკრულება), რომლის გაფორმებასაც გეგმავს სექტემბრის განმავლობაში.
ექსპერტები იზარებენ სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.3 პროცესის მართვა

3.3.1 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

   სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პროექტი, რომლის მიზანია სკოლაში ხარისხის მართვის ერთიანი პოლიტიკის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას.

   სკოლის შიდა შეფასების პროცესი მოიაზრებს დაგეგმვის, განახორციელების, შეამოწმებისა და განავითარების ეტაპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თითოეული მათგანი მოიაზრებს შესაბამის პროცედურებს: შეფასების პროცესისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების დაგეგმვას, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა; დაგეგმილი პროცესების, აქტივობების განხორციელება წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე; შეფასების მიზნით განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების ანუ პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება; შეფასების შედეგების საფუძველზე მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ცვლილებების დაგეგმვა.

სკოლის ადმინისტრაცია ამ პროცესების უზრუნველყოფისათვის აწარმოებს მოსწავლეთა შედეგების სტატისტიკას, სწავლობს საგნობრივი, საგნობრივი კათედრების ანგარიშებს, დამრიგებლების ანგარიშებს, სასკოლო საზოგადოების წევრებთან (მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების) გასაუბრებით მიღებული ინფორმაციის ანალიზს. რის შედეგადაც ხდება არსებული პროცესების შეფასება, საჭიროებების იდენტიფიცირება შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შემდეგ სკოლა შეიმუშავებს 2023-2024 სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას, სადაც მიმართულებების მიხედვით, ვადების გათვალისწინებით იქნება გაწერილი შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლამ წარმოადგინა სკოლის დებულების პროექტი, რომლის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ წარმოდგენილი დებულება აწესრიგებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, მის მართვის პრინციპებსა და წესებს. მართვის პრინციპები უზრუნველყოფს შემდეგს: სკოლის გადაწყვეტილებების, დირექტორის ბრძანებების საჯაროობასა და მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; მასწავლებელთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში; მოსწავლეთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა; კონკურსების და სხვადასხვა პროექტების საჯაროობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას; მოსწავლეებისათვის ჯანმრთელი, უსაფრთხო, მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნას.

დებულებაში ასევე გაწერილია სკოლის სტრუქტურა დირექცია(დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში), ადმინისტრაცია (ადმინისტირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი; ბიბლიოთეკარი; საქმისმწარმოებელი; ფსიქოლოგი; ექიმი; ექთანი; მნე; უსაფრთხო სკოლის მენეჯერი; ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი; სართულის კურატორი; ბუღალტერი)ტექნიკური პერსონალი (დაცვა; დამლაგებელი; მზარეული; მზარეულის დამხმარე), სტრუქტურულ ერთეულებს (პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა საბჭო), რომელიც წარმართავს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დებულებაში გაწერილია სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი პირების საქმიანობები და ფუნქცია მოვალეობები.

სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში(დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 1 აგვისტოს ბრძანება N22-05) სტრატეგიული მიზნების მიხედვით, დასახული ამოცანების შესასრულებლად გაწერილია აქტივობები (ვადებისა და პასუხისმეგებელი პირების გათვალისწინები), რის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ვიზიტის დროს სამუშაო ჯგუფი მუშაობდა გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზზე, რის საფუძველზეც შემუშავდება ახალი სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია „თავი 14. განცხადების/საჩივრის განხილვა“. მუხლი 34-ში გაწერილია განცხადები/საჩივრის განხილვის წესი, სადაც გაწერილია სკოლის დონეზე გასაჩივრების შესაძლებლობა და ასევე დაფიქსირებულია, რომ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად შეუძლიათ გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. იგივე საკითხი აღნიშნულია შინაგანაწესის მუხლი 22-სა (დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები და დისციპლინური წარმოების დაწყება) და მუხლი 29-ში (მოსწავლეთა დისციპლინური წარმოება).

ასევე ექსპერტების მიერ შესწავლილი იყო 2022 წლის 01 აგვისტოს დამტკიცებული შინაგანაწესი და გასაჩივრების წესთან მიმართებით ზუსტად იდენტური ჩანაწერია შესაბამის მუხლებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სასურველია სკოლამ შეიმუშაოს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

   სკოლის შინაგანაწესის მიხედვით მე-8 თავში „დასაქმებული წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა“ გაწერილია შემდეგი საკითხები: წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; დისციპლინური საქმის წარმოება; დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომა; დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოები და დისციპლინური წარმოების დაწყება; საქმის გარემოებათა გამოკვლევა; დისციპლინური ზომის დაკისრება/უარი დისციპლინური ზომის დაკისრებაზე; დისციპლინური ზომის ვადაზე ადრე მოხსნა და მოქმედების ვადა.

   ექსპერტების მიერ ასევე შესწავლილი იყო სკოლის ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებულია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა (მუხლი 3. სკოლის თანამშრომელთა უფლებები; მუხლი 5. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის სტრატეგია; მუხლი 6. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პროექტი;
- შინაგანაწესის პროექტი;
- სკოლის შინაგანაწესი (2022 წლის 01 აგვისტო);
- ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკა;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

   სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკა, რომლის მიზანია: სასკოლო საზოგადოების რგოლებს შორის ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა; სასკოლო საზოგადოების დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, ამოცანების, დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაგეგმილი ცვლილებებისა და სხვ. თაობაზე; სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და მხარდაჭერის ზრდის ხელშეწყობა. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო ყველა წევრთან ურთიერთობა. გათვალისწინებულია ინფორმაციის გავრცელება სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლით, განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელთა უფლებები, ისეთი როგორც მაგალითად სასკოლო დოკუმენტებში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმირება, ინფორმაციის წერილობით მიღების შესახებ და ა.შ. ასევე გაწერილია ვალდებულებებიც.

ასევე მე-5 მუხლი არეგულირებს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის სტრატეგიაებს. აღნიშნულ მუხლში წარმოდგენილია ვინ, რა გზით, რის საშუალებით, რა სიხშირით აწვდის მშობელს ინფორმაციას და რა გზით ღებულობს უკუკავშირს.

ასევე სკოლის შინაგანაწესის მე-16 თავშია გაწერილი მშობლებთან ურთიერთობის ფორმები, სადაც აქცენტი კეთდება სკოლის დირექციის როლზე, კომუნიკაციის ხელშეწყობის კონტექსტში.

მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება: მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით) ინდივიდუალური შეხვედრების დროს; ტელეფონით; SMS შეტყობინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სასკოლო საზოგადოების, დაინტერესებული პირების ჩართულობა სკოლის მართვის პროცესებში მათი აზრის გათვალისწინება მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ამ დრომდე სკოლაში არ მოქმედებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, თუმცა ახალი სასწავლო წლიდან გათვალისწინებულია მოსწავლეთა საბჭოს არჩევა. აღნიშნული საბჭო იხელმძღვანელებს დებულების შესაბამისად. მოსწავლეთა საბჭოს ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებას, მის განვითარებასა და სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. დებულების მიხედვით საბჭო თავის უფლებამოსილების ფარგლებში იცავს და წარმოადგენს მოსწავლეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში აქამდე არ ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის თითოეულ მოსწავლეს ჰქონდა საშუალება ინიციატივები წარედგინათ სკოლის დირექციისათვის და საკითხის განხილვის პროცესში თვითონ ჩართულიყვნენ.

მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაციასტან გასაუბრება ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი და რჩევების მიღებისათვის მზაობა არის სკოლის დირექციის მხრიდან. კონკრეტული მაგალიტი ინიციატივისა არ დასახელებულა მშობლებისაგან, მოსწავლეებისაგან განსხვავებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკა;
- შინაგანაწესის პროექტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

   სკოლის ტერიტორიაზე და შენობაში დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა, სკოლის ეზო დაკეტილია და ეზოს ტერიტორიაზე შემოსვლა შესაძლებელია მხოლოდ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ურთიერთობით.

   საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული შესაბამისი წესი. საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების გაწევისათვის სკოლაში არის დასაქმებული ექიმი და ექთანი, არის ექიმის კაბინეტი კანონმდებლობის შესაბამისი აღჭურვილობით (ექიმის კაბინეტი დაახლოებით 11კვ.მ., არ არის სველი წერტილი, არ შეესაბამება ბრძანებით მოთხოვნილ სტანდარტს). შენობაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოება. ყველა სართულზე, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად კედელზე დაკიდებულია ცეცხლმაქრები, რომლების გადამუხტვასაც სკოლა ახდენს პერიოდულად. თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საევაკუაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გეგმები. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ სკოლამ ვერ წარმოადგინა. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ეზოში მე-2 შენობაზე დაშენების სამუშაოების დასრულების შემდეგ, უნდა მოხდეს პროექტით გათვალისწინებული სახანძრო მოწყობილობების უზრუნველყოფა და შემდეგ მიმართავენ შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რომ დაადგინონ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეიცვალა პირველადი შეფასება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია:

1. ექიმის ქაბინეტში მოეწყოს სველი წერტილი შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილ ვედებში.

2. სკოლამ მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით და პირობებით. წესი შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (2021 წლის 21 იანვრის წერილი MES 2 21 0000010256). სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფენ დაცვის თანამშრომელი; სასკოლო პროცესის მიმდინარეობისას საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვაზე პასუხისმგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

პირი არის სკოლის დირექცია, სართულის კურატორი; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომლის შესაბამისადაც, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება. სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი; საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი.

გარდა ამისა აღნიშნული ინფორმაცია მოსწავლეებს, მშობლებს მიეწოდება სასწავლო წლის დასაწისში დამრიგებლის საათებზე და მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

არსებული წესის მიხედვით: მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის დირექციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეუძლიათ სკოლის ფსიქოლოგთან; ფსიქოლოგიური დახმარების ფარგლებში ფსიქოლოგი მოსწავლეს, სკოლის დირექციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

სკოლის ფსიქოლოგი კლასებში პერიოდულად ესწრება გაკვეთილებს, აკვირდება მიმდინარე პროცესებს, აკეთებს შესაბამის ჩანაწერებს, ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ფსიქოლოგთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოსწავლესთან და მშობელთან ინდივიდუალური გასაუბრება. როგორც წესი, თუ ფსიქოლოგის დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა მოსწავლის პრობელმა, მშობელს ეძლევა რეკომენდაცია უფრო სიღრმისეულად გამოიკვლიოს შესაბამის სპეციალისტთან მოსწავლის საჭიროება.

მოსწავლეებთან და დირექციასთან გასაუბრებით, ფოტო მასალის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში ტარდება ძალადობის წინააღმდეგ გათვალისწინებული აქტივობები, ხდება მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების გაცნობა, საუბრები, განხილვები მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

მშობლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა: 1.სკოლის ექიმის განსაკუთრებული ჩართულთობა მოსწავლეებზე ზრუნვასთან დაკავშირებით. მშობლები აღნიშნავენ, რომ ექიმი ყოველთვის ინტერესდება მათი შვილების სკოლაში არყოფნის მიზეზით, თუ კლასის დამრიგებელს არ აქვს წინასწარ ინფორმაცია მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შესახებ; 2.დირექტორის მოადგილის მზრუნველი დამოკიდებულება მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის პროცესში; 3.ფსიქოლოგთან კომუნიკაციის დეფიციტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სასურველია ფსიქოლოგის მიერ მეტი კომუნიკაცია მშობლებთან, როგორც ინდივიდუალურად ასევე კლასის საჭიროებაზე მთლიანად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი სკოლის ექთანი, აღნიშნული ვალდებულება გაწერილია სკოლის დებულების მუხლი16. სკოლის ექთანი პუნქტი 3.ვ. (სკოლის ექთანი ვალდებულია - უხელმძღვანელოს სკოლის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას: ყოველდღიურად შეამოწმოს სასადილოს სისუფთავე და, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია მიაწოდოს დირექტორს).

ამავე დებულების მუხლი 21-ით გათვალისწინებულია დამლაგებლის ფუნქციები, გათვალისწინებულია სანიტარული კვანძის დალაგებასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობები, სკოლის სანიტარული კვანძის დასუფთავების წესები. შენობის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ არსებული წესების გათვალისწინებით სკოლაში მიმდინარეობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. აღჭურვილობა, დასუფთავების საშუალებები შენახულია წესის შესაბამისად.სველ წერტილებში გაკრულია დასუფთავების აღრიცხვის ფურცლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის მიერ შემუშავებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის №22-09 ბრძანებით). აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია, რომ ყველა მოსწავლეს აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება. შესაბამისად სკოლა ვალდებულია დაიცვას მოსწავლეების პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება, მათი შეგროვებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

გამოყენების დროს. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია თუ რა მონაცემები გროვდება და ინახება სკოლაში, რა მიზნითა და რა ვადით. განსაზღვრლია მონაცემებზე წვდომის წესები და უსაფრთხოების გარანტიები. წარმოდგენილი პოლიტიკის მოთხოვნები სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის.

„პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა“ შედგება 8 მუხლისაგან: მოსწავლის პერსონალური მონაცემები; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები კანონმდებლობით დაწესებული დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის მქონე მონაცემები; მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა დამუშავების პრინციპები მონაცემთა დამუშავების კანონიერად განხორციელებისათვის აუცილებელია შემდეგი პრინციპების დაცვა; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლები; სკოლის ვალდებულებები; პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტის დამტიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი.

არსებული წესის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

მშობლებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მშობელი შვილის სასწავლო შედეგებისა თუ დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციას ღებულობს პერსონალურად, შეტყობინების, ტელეფონზე გასაუბრების ან მასწავლებელან პირისპირ გასაუბრების დროს. მშობელთა კრებებზე ხდება კლასის საორგანიზაციო და ზოგადი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

სკოლის მიერ შემუშავებულია და დამტკიცებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა“ და მონიტორინგის მექანიზმებში გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად ხდება არსებული ინფორმაციის დაცვა. სკოლის ელექტრონულ ჟურნალში შესასვლელად მომხმარებელს (მოსწავლეს, მასწავლებელს) აქვს საკუთარი პაროლი რომელიც ცნობილია მხოლოდ მფლობელისათვის. სკოლა ჟურნალში წარმოდგენილ ინფორმაციას ამუშავებს აწვდის დაინტერესებულ პირს წესში გაწერილი პროცედურების შესაბამისად. იგივე მიდგომა არის e-School-ის ბაზასან მიმართებით, წვდომა აქვს სკოლის დირექტორსა და საქმისმწარმოებელს, რაც განსაზღვრულია მათ უფლება-მოვალეობებში. არსებულ მონაცემებს იყენებენ მხოლოდ შესაბამისი ოპერაციის შესრულების პროცესში. პირადი საქმეების წარმოებასა და დაცვაზე პასუხისმგებელი გარდა საქმისმწარმოებლისა არის დამრიგებელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეტანას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პერიოდულად წელიწადში 2-ჯერ სკოლა ახორციელებს გამოკითხვას, მასწავლებლების, კათედრების ხელმძრვანელების, სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, მშობლების, რის ანალიზის საფუძველზეც ხდება ცვლილებების შეტანა სასკოლო სამოქმედო გეგმაში. ასევე მნიშვნელობას ანიჭებენ და ითვალისწინებენ სკოლის თანამშრომელთა სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს. არსებული ინფორმაციის საფუძველზე დირექცია მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, სასკოლო საზოგადოების წევრებისა და მიმდინარე პროცესებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალური მონაცემების პოლიტიკა (ბრძანება №22-09; 2022წ.);
- სკოლის დებულება;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. (21.09.202წ. MES 2 21 0000010256).
- კითხვარები, კითხვარების ანალიზი;
- კათედრების ანგარიშები, კათედრის სხდომის ოქმები;
- კლასის დამრიგებლების ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაცია ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, დებულებასა და შინაგანაწესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლაში მოქმედებს 2022 წლის 01 აგვისტოს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. შინაგანაწესით განისაზღვრება რიგი საკითხები, რომელიც შეეხება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. კერძოდ, განსაზღვრულია მოსწავლის წახალისების ფორმები, დისციპლინური წარმოების თავისებურებანი და განცხადების/საჩივრის განხილვა.

შინაგანაწესში ჩამოთვლილია მოსწავლის ქმედებები, რომლებიც მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად. განსაზღვრულია დისციპლინური სახდელები და დისციპლინური წარმოების წესი.

- მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესში არ არის განსაზღვრული მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული ან პირი. თუმცა აღნიშნულია, რომ მოსწავლისთვის დისციპლინური ზომის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.
- ერთ-ერთი დისციპლინურ გადაცდომაა მოსწავლის მიერ მობილური ტელეფონით ან/და ნებისმიერი სხვა სახის ტექნიკური საშუალებით სკოლაში არასასწავლო მიზნით, ნებართვის გარეშე სარგებლობა. აღნიშნულია, რომ „სკოლაში ყოფნის დროს მოსწავლე ვალდებულია მობილური ტელეფონი შეინახოს სპეციალურად მისთვის გამოყოფილ შესანახ ადგილას. სკოლაში ყოფნის დროს მობილური ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლეს ჩამოერთმევა აღნიშნული ტელეფონი და ერთი კვირის (შვიდი კალენდარული დღის) შემდეგ გადაეცემა მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. აღნიშნული გადაცდომის განმეორების შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

შესაძლებელია მოსწავლეს ტელეფონი ჩამოერთვას ერთ თვემდე ვადით.“ აღწერილიდან გამომდინარე სახდელი გულისხმობს საკუთრების ჩამორთმევას, რაც თავის მხრივ იწვევს მოსწავლის სხვა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას, როგორებიცაა კომუნიკაცია, სმარტფონის შემთხვევაში ინტერნეტით სარგებლობის უფლება, ინფორმაციის მოპოვების უფლება და სხვ. აღსანიშნავია, რომ აღწერილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შემთხვევა სკოლის დირექციაში არ დაადასტურეს.

- ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომაა მოსწავლის მიერ გაკვეთილის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა, ხოლო განსაზღვრული სახდელი „მოსწავლის გაკვეთილიდან დათხოვნის უფლება აქვს მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სკოლის დირექტორს. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს კლასის დამრიგებელი აცნობებს მოსწავლის გაკვეთილიდან დათხოვნის ფაქტისა და მიზეზების შესახებ. აღნიშნული რეგულაციის განხილვის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესის პროექტი, რომელშიც განსაზღვრულია, რომ საგნის მასწავლებელი არის ვალდებული მოსწავლის გაკვეთილიდან დათხოვნის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს. თუმცა განუსაზღვრელი დარჩა დამრიგებლის ვალდებულება დაუყოვნებლივ აცნობოს ფაქტი და მიზეზები მშობელს. აღსანიშნავია, რომ შინაგანაწესში გაწერილი იყო კანონმდებლობის შესაბამისი ვალდებულება, რომელიც გულისხმობს, რომ მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ მშობლის ინფორმირების ვალდებულებას, მაგრამ არ იყო აღნიშნული ქმედები დაოყოვნებელი ხასიათი ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად. შინაგანაწესის პროექტში აღნიშნული ვალდებულება სრულყოფილად არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

გაწერილი. მშობლის წერილიდან გამომდინარე დასტურდება შემთხვევა, რა დროსაც მშობელმა მოგვიანებით შეიტყო შვილის გაკვეთილიდან გაძევებისა და შემდგომ დღეებში დათხოვნის შესახებ. აღნიშნული ფაქტი არ არის აღწერილი სკოლის მიერ დისციპლინური დარღვევების ჟურნალში. სკოლაში არ წარმოებს დისციპლინური გადაცდომების აღრიცხვის სისტემა.

ვიზიტის პერიოდში ჩატარდა გასაუბრებები მშობლებთან პირისპირ და ონლაინ ფორმატში. გასაუბრების დროს ერთ-ერთმა მშობელმა გაიხსენა ფაქტი, როდესაც სკოლაში სხვა საჭიროების გამო მისულმა შეიტყო, რომ მისი შვილი თავის თანაკლასელთან ერთად არ ესწრებოდა ქართულის გაკვეთილს, რადგან მათ ჩამორთმეული ჰქონდათ ქართულის გაკვეთილზე დასწრების უფლება. საგნის პედაგოგმა ისინი გააძევა გაკვეთილიდან და არ მისცა შემდგომ დღეებში გაკვეთილებზე დასწრების უფლება. სკოლის/დამრიგებელის მიერ არ მომხდარა მშობლების ინფორმირება მოსწავლეთა გაკვეთილიდან გაძევების და შემდგომ დღეებში გაკვეთილზე არ დაშვების შესახებ.

დირექციის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განმარტეს, რომ მშობლებს ინფორმირება მათ მიერ მოხდა. აღწერილი შემთხვევა სკოლის დისციპლინური წარმოების ფარგლებში არ ფიქსირდება.

2022-2023 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და 2023-2024 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ასახულია მოსწავლის უფლებები განათლების მიღებასა და შეფასებასთან დაკავშირებით (შინ სწავლება, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, ექსტერნატის გამოცდა, სემესტრული გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა, ინკლუზიური განათლება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

სკოლის დებულებაში გაწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. მოსწავლის უფლებები შეეხება ხარისხიანი განათლების მიღებას, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით თანასწორ პირობებში სარგებლობას, ცოდნის სამართლიან შეფასებას, აზრის გამოხატვის თავისუფლებას, სწავლების მაღალი დონის მოთხოვნის უფლებას, სკოლის მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელების უფლებებს. მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების ჩამონათვალში არ არის გაწერილი ზოგადი განათლების კანონით გარანტირებული ყველა უფლება და თავისუფლება (მაგალითად, გასაჩივრების უფლება, შეკრების, გაერთიანების უფლება, რწმენის თავისუფლება და ა.შ.)

ზოგადი განათლების კანონის მიხედვით სკოლა ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება. სკოლის შინაგანაწესის პუნქტი 34.4-ის მიხედვით, „მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.“ სკოლის დებულების მიხედვით, *“სკოლის დირექტორი განიხილავს მოსწავლეებისაგან, მშობლებისა და მასწავლებლებისაგან მიღებულ საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს. აგრეთვე, უფლებამოსილია შექმნას საბჭოები და კომისიები სხვადასხვა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.“*

ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ სკოლაში არ წარმოებს დისციპლინური დევნისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების აღრიცხვა. შესაბამისად უკვე არსებული საჩივრების განხილვის ამსახველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

მასალა, ოქმები და მიღებული გადაწყვეტილებების მტკიცებულებები არ არსებობს. **ამასთანავე საჩივრების განხილვის უფლებამოსილება დაკისრებული აქვს მხოლოდ ერთ პირს (სკოლის დირექტორს) ნაცვლად კოლეგიური ორგანოსი, რამაც ყველა შემთხვევაში შესაძლებელია ვერ უზრუნველყოს განხილვის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.** აღნიშნულზე მიუთითებს 2023 წლის 01 ივნისს ცეკვის ღია გაკვეთილზე მომხდარი ფაქტის მშობლის მიერ გასაჩივრების (დირექტორის ზეპირი ინფორმირება) და საჩივარზე შემდგომი რეაგირების ფორმა.

2023 წლის 23 ივნისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში კავშირ საფარისაგან შემოსულ წერილში აღწერილია კონკრეტული შემთხვევევა, როდესაც მშობელმა მოსწავლის მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ აცნობა სკოლის დირექტორს, თუმცა მიღებულ ინფორმაციას დირექტორის მხრიდან საკითხით დაინტერესება და რეაგირება არ მოჰყვა. იმავე წუთებში ცეკვის ღია გაკვეთილზე მასწავლებლის მოსწავლის მიმართ ძალადობის ფაქტი (სახეზე უხეშად ხელის მოკიდება, შეჯანჯღარება და ლოყაზე ჩქმეტა) დაადასტურა და დირექტორთან საუბარში გააპროტესტა ღონისძიებაზე მყოფმა სხვა რამდენიმე მშობელმა. ვიზიტის პერიოში ჩატარებული გასაუბრებებით დასტურდება, რომ იმავე დღეს ცეკვის მასწავლებელმა დირექტორს დაუდასტურა მომხდარი ფაქტი (მოსწავლის სახეზე უხეშად ხელის მოკიდება). მიუხედავად რამდენიმე მშობლის და ცეკვის პედაგოგისაგან მიღებული შეტყობინებისა მოსწავლის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია.

ზემოთ აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე სკოლის შიდა რეგულაციებით ვერ ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეიცვალა პირველადი შეფასება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია:

სკოლამ შესაბამისობის გეგმის ვადების გათვალისწინებით შეიმუშაოს სასკოლო რეგულაცია -„განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი", აღნიშნულ დოკუმენტაციაში გაიწეროს მექანიზმი დისციპლინური დევნისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების აღრიცხვის.

2. სკოლის ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვალობასა და გაზიარებას სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის ყველა თანამშრომელი შრომითი ურთიერთობის დაწყებისთანავე სავალდებულო წესით ეცნობა დოკუმენტებს, რომელთა შორის არის „სკოლის დებულება და სკოლაში მოქმედი პოლიტიკები, წესები, ინსტუქციები“, „მოსწავლის ქცევის კოდექსი“, „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი.“ თუმცა ჩამონათვალში მითითებული არ არის სკოლის შინაგანაწესი.

დოკუმენტის მიხედვით, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისში პირველკლასელთა მშობელს/მოსწავლეს და ახალგადმოსულ მოსწავლეს და მის მშობელს გააცნოს დოკუმენტები, რომელთა შორის არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა. სასწავლო წლის დასაწყისში იმართება „საპრეზენტაციო სახის“ შეხვედრა თითოეული კლასის მშობლებთან. დოკუმენტის მიხედვით, გარდა მშობელთა კრებაზე ზეპირსიტყვიერად გაცნობისა, სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია, აღნიშნული დოკუმენტები განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე, რათა თითოეულ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდეს გაეცნოს მისთვის მნიშვნელოვან/საჭირო ინფორმაციას. სკოლის დირექციის განმარტებით ვებ გვერდი სრულყოფის პროცესში და მასზე ეტაპობრივად განთავსდება ყველა საჭიროს დოკუმენტი.

სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ, ექსპერტების მიერ მოხდა სკოლის საიტის დათვალიერება, რის შედეგადაც დგინდება, რომ ყველა დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. https://igs.ge/bylaws/.

შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეიცვალა პირველადი შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ხელშეკრულების ნომერს, თარიღს, ხელშეკრულების საგანს, საგანმანათლებლო მომსახურების საფასურსა და გადახდის წესს, საფასურის გადახდის გრაფიკს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებს, დავების გადაწყვეტას, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებს და დასკვნით დებულებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ „სკოლა უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ“. (ხელშეკრულება, 3.3.დ) ამავე ხელშეკრულების მე-6 პუნქტი შეეხება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას, რომლითაც <u>განსაზღვრული ერთ-ერთი წინაპირობაა საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის გადახდის ვადის 60 დღით ვადაგადაცილების შემთხვევა. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოსწავლე არ დაიშვება სასწავლო პროცესზე.</u> ექსპერტთა მოსაზრებით, ხელშეკრულების 3.3.(დ) და 6.1.(დ) და 6.2 პუნქტები არ არის ურთიერთშესაბამისობაში. კერძოდ, საფასურის 60 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში არ არის დაზუსტებული ხელშეკრულების შეწყვეტის პერიოდი ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად.

შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეიცვალა პირველადი შეფასება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია:

სკოლამ მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გააფორმოს დანართი 6-ით წარმოდგენილი ხელშეკრულება შესაბამისობის გეგმის მიხედვით განსაზღვრულ ვადებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

- შინაგანაწესი, 22.09.2022
- შინაგანაწესის პროექტი
- დებულება, 22.09.2022
- დებულების პროექტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა, 2022-2023
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- სკოლის ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკა
- მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები
- ვებ გვერდი https://igs.ge/

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლაში მოქმედებს 2022 წლის 01 აგვისტოს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. შინაგანაწესის 32-ე მუხლით განისაზღვრება „სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები“, რომელშიც გაწერილია მხოლოდ მოსწავლის პირველ კლასში და აგრეთვე, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პერიოდში შინაგანაწესით ან სკოლის სხვა შიდა აქტით არ რეგულირდებოდა მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესის პროექტი, რომელშიც შეტანილია პუნქტი 23.10 - „სკოლა მოსწავლის (გარდა პირველი კლასისა) კლასში ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების შესახებ ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანების მე-7, მე-9, მე-10 მუხლების პუნქტებით“. აღნიშნული საკითხის (სტატუსის შეწყვეტა და სტატუსის შეჩერება) მექანიზმების მკაფიოდ განსაზღვრისა და გამჭვირვალობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მარეგულირებელი ნორმატიული აქტის აღნიშვნა. სკოლაში გაწერილი არ არის საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები.

სკოლის შინაგანაწესით (პუნქტი 32.8) განსაზღვრულია, რომ *„სკოლა უფლებამოსილია მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან შესაბამისობა. გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ სკოლაში ჩარიცხვის მსურველს ეძლევა ერთ კვირიანი პერიოდი ადაპტაციისთვის. თუ ადაპტაციის პერიოდი მოსწავლემ წარმატებით გაიარა, სკოლის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ.“* აღწერილ მექანიზმში ჩანს, რომ სკოლა ჯერ არ ჩარიცხულ მოსწავლეს უშვებს სასწავლო პროცესზე ერთი კვირის განმავლობაში, რასაც არ გააჩნია შესატყვისი საკანონმდებლო საფუძველი. ამასთან ერთად ბადებს შეკითხვებს მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების უზრუნველყოფასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაკავშირებით. ჩარიცხვის წინაპირობად დადგენილია ადაპტაციის წარმატებით გავლა. წარმატებით გავლის ინდიკატორები არ არის მკაფიო და გამჭვირვალე, რაც ბადებს შეკითხვებს ჩარიცხვის წესის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს საფეხურის დაძლევის წესს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. სკოლამ დაამტკიცა მოსწავლის სტატუსის შეწყვეტისა და სტატუსის შეჩერების წესი და ატვირთულია სკოლის საიტზე.

შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეიცვალა პირველადი შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. განათლების მართვის სინფორმაციო სისტემაში სკოლის გვერდის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. აღნიშნული პროცედურები მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოცემულია შესაბამისი საფუძვლის მქონე ბრძანებები. სკოლაში არ ყოფილა მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

---

3. სკოლის დებულება დამტკიცებულია 2022 წლის 22 სექტემბერს დირექტორის ბრძანებით. დებულების 27-ე მუხლი მოიცავს მოსწავლეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, ხოლო მოსწავლის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით.

   სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია. საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის გაწერილი შინაგანაწესში. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრები. დამრიგებლები მათ სკოლის შინაგანაწესსა და საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ინფორმაციას.

ვიზიტის პერიოდში ფუნქციონირებდა დაწესებულების ვებ გვერდი igs.ge. თუმცა ვებ გვერდზე არ იყო განთავსებული აღნიშნული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები - დებულება და სასკოლო სასწავლო გეგმა. ვიზიტის პერიოდში ვებ გვერდზე აიტვირთა შინაგანაწესი. თუმცა სკოლის შენობაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას შინაგანაწესი არ იყო განთავსებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედი „ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკის“ მიხედვით სკოლის თანამშრომლის ვალდებულებაა არ გაავრცელოს გადაუმოწმებელი ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია მხოლოდ შინაგანაწესი. სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში, რომელზეც პერიოდულად ქვეყნდება აქტივობების ამსახველი მასალები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი, 22.09.2022
- შინაგანაწესის პროექტი
- დებულება, 22.09.2022
- დებულების პროექტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა, 2022-2023
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- სკოლის ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკა
- ვებ გვერდი https://igs.ge/
- გვერდი სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/igs.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

- ემისის ბაზა
- ბრძანებები მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების შესახებ
- განცხადებები მოსწავლეთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

1. სკოლას ცალკეული დოკუმენტის სახით არ ჰქონდა გაწერილი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ღონისძიებები. გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ადაპტაციაზე ზრუნავს სკოლის პერსონალი, მასწავლებლები და დამრიგებლები. მოსწავლეთა ადაპტაციის საკითხი გაწერილი იყო პირველი კლასის სადამრიგებლო პროგრამაში. მოსწავლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებს, პროგრამებსა და გარემოს. სკოლის შინაგანაწესში, სადამრიგებლო პროგრამასა ან მოსწავლეთა მიღების წესში არ იყო გაწერილი სასკოლო გარემოში მოსწავლის ადაპტაციის ხელშემწყობი მიმართულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სკოლას მიეცა რჩევა გაწეროს ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი სკოლის მოსწავლისათვის.

2. სწავლის დაწყების მომენტიდან სკოლა ზრუნავს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობაზე. მოსწავლეთა მიღება ხდება კეთილგანწყობილ და საზეიმოდ მომზადებულ გარემოში. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც აკვირდება მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასა და სოციალიზაციის პროცესს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს მასწავლებლებისა და დირექციისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

3. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეები სარგებლობენ გახანგრძლივებული მომსახურებით, რა დროსაც სხვადასხვა წრეებთან ერთად მოსწავლეებს ეძლევათ დავალებების მომზადების შესაძლებლობა. ისინი დამოუკიდებლად ამზადებენ დავალებებს და საჭიროების შემთხვევაში იღებენ დამრიგებლის მხარდაჭერას.

სწავლების დროს გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომა. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლე სკოლისაგან იღებს აკადემიურ მხარდაჭერას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (მოსწავლის სკოლიდან გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, ცნობის გაცემა) ხდება დროული რეაგირება და ვადების დაცვით აღნიშნული საქმიანობის წარმართვა.

   აღსანიშნავია, რომ წარმოებული მონიტორინგის მიზეზი გახდა 2023 წლის 23 ივნისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში კავშირ საფარისაგან შესულ წერილში აღწერილი შემთხვევა, როდესაც მშობელმა მოსწავლის მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ ზეპირსიტყვიერად აცნობა სკოლის დირექტორს, ხოლო სათანადო რეაგირების არარსებობის შემდგომ მიმართა დირექტორის მოადგილეს, რომელმაც უპასუხა, რომ არ შეუძლია დახმარება ამ საკითხში. შემდგომ მიმართა ელ. ფოსტის საშუალებით (12 ივნისს) სკოლას, დაუკავშირდა დირექტორის მოადგილეს და აცნობა ელ.ფოსტის გაგზავნილი შეტყობინების შესახებ. თუმცა სკოლის მიერ რეაგირება მშობლის შეტყობინებას არ მოჰყოლია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. სკოლამ წარმოადგინა ბრძანება №23-24 მასწავლებლისათვის დისციპლინარული ზომის გამოყენების შესახებ.

შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეიცვალა პირველადი შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივითა და ჩართულობით ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები. სკოლაში ამ ეტაპზე არ არსებობს მოსწავლეთა გაერთიანება/საინიციატივო ჯგუფი. სკოლა გეგმავს ჩამოაყალიბოს მოსწავლეთა საბჭო, რომლის მუშაობის პრინციპები წარმოდგენილია მოსწავლეთა საბჭოს დებულების პროექტში. სკოლას არ აქვს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი წესი, რომელიც დაარეგულირებდა მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენას და მხარდაჭერის მიღების პროცედურას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმი, რათა აღნიშნული იყოს მკაფიო და გამჭვირვალე სასკოლო საზოგადოებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

6. ვიზიტის პერიოდში დოკუმენტურად/წერილობით წარმოდგენილი არ იყო მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის ამასხველი მასალები. თუმცა გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებსა და მშობელებს მიუმართავთ მასწავლებლებისათვის და სკოლის დირექციისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემებით და/ან წინადადებებით, ხოლო სკოლამ შემდგომი საქმიანობისას გაითვალისწინა მათი მოსაზრებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- სკოლის ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკა
- ფსიქოლოგთან დადებული ხელშეკრულება
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის ამსახველი მასალები

4.2.2 სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერიოდულად ტარდება შეხვედრები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი წმ. გიორგის უნივერსიტეტთან. საინფორმაციო შეხვედრები გარკვეულწილად უზრუნველყოფს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებას. სკოლაში არის მოსწავლეებისა და სკოლის კურსდამთავრებულების შეხვედრების დამკვიდრებული პრაქტიკა. შეხვედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება და არჩეულ პროფესიებზე საუბარი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სადამრიგებლო პროგრამებში ასახოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. სკოლა აწვდის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მოსწავლეები არიან ინფორმირებული საფეხურის დაძლევის შემდგომ არსებული შესაძლებლობების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექცია და პედაგოგები იღებენ გამოხმაურებას სკოლის კურსდამთავრებულებისაგან, უზიარებენ საკუთარი პროფესიული არჩევანით კმაყოფილებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით პერიოდულად შეაფასოს გაწეული მომსახურება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
- სადამრიგებლო პროგრამები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ასახულია ინკლუზიური განათლების კონცეფცია და წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებულია დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება: გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი და ტრანსპორტირების სერვისი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ტრანსპორტირების სერვისს უზრუნველყოფილია ექვსი მიკროავტობუსით. სკოლამ წარმოადგინა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატრანსპორტო მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები. წარმოდგენილია მძღოლების პირადობის დამადასტურებელი და მართვის მოწმობები. ტრანსპორტით სარგებლობენ მოსწავლეები და მასწავლებლები. მოსწავლთა უსაფრთხოებაზე მგზავრობის დროს ზრუნავენ მასწავლებლებლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განისაზღვროს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირი თითოეული მიკროავტორბუსისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები
- სატრანსპორტო მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

...14.09.2023.....
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---